ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№36

ქ. თბილისი; 24 დეკემბერი, 2018 წ. 14 :00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ნინო ლაცაბიძე
ავთანდილ ცინცაძე
თინათინ ნიბლოშვილი
ქეთევან მამულაშვილი
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ლევან მიქავა

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ლევან მიქავამ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დაზუსტებული პროექტი.**

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენიშვნები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა განსაზღვრულია - 927 631,5 ათასი ლარით, რაც ბიუჯეტის თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 871 631, 5 ათას ლარს, გაზრდილია 56 000, 00 ათასი ლარით. მათ შორის, საკუთარი შემოსულობების ნაწილში 877 631,5 ათასი ლარით (თავდაპირველად წარდგენილ პროექტთან შედარებით იზრდება 6 000,0 ათასი ლარით).

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილია სპეციალური ტრანსფერი 50 000,0 ათასი ლარის ოდენობით.

ლევან მიქავას თქმით, წარმოდგენილი 2019 წლის ბიუჯეტის დაზუსტებული პროექტით გათვალისწინებული ასიგნებები პრიორიტეტების მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა განისაზღვრება 98 509,6 ათასი ლარით. მათ შორის: საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთებისათვის გათვალისწინებულია 91 387,6 ათასი ლარი, რაც თავდაპირველ წარდგენილ პროექტთან შედარებით გაზრდილია 4 151,1 ათასი ლარით.

- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება იზრდება **37 568,9** ათასი ლარით და შეადგენს **211 366,6** ათას ლარს.

- უცვლელი რჩება ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება და განისაზღვრება 88 558,5 ათასი ლარით. იზრდება გამწვანების ღონისძიებები 5 916,5 ათასი ლარით და შეადგენს 32 166,5 ათას ლარს. დასუფთავების ღონისძიებები განსაზღვრულია 51 000,0 ათასი ლარით. თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა 5 392,0 ათასი ლარით.

- უცვლელი რჩება ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა და განსაზღვრულია 5 897,0 ათასი ლარის ოდენობით. პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება პროგრამა ბიზნესის სტიმულირება, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 892,0 ათასი ლარი.

- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება განსაზღვრულია 20 648,1 ათასი ლარის ოდენობით.

- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა იზრდება 1 223,9 ათასი ლარით და შეადგენს 192 254,6 ათას ლარს. სოციალური დაცვის პროგრამებიდან იზრდება უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში 1 723,9 ათასი ლარით და შეადგენს 18 511,8 ათას ლარს.

- განათლების პრიორიტეტი იზრდება 20 207, 3 ათასი ლარით და შეადგენს 179 270,4 ათას ლარს. პრიორიტეტის ფარგლებში ძირითადად იზრდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა 20 000,0 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 11 ახალი ბაღის მშენებლობის დასრულება.

- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის პრიორიტეტი იზრდება 9 974,0 ათასი ლარით და შეადგენს 31 567,4 ათას ლარს. ძირითადად ზრდა მიმართულია სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების კუთხით. მშენებლობის ქვეპროგრამა იზრდება 10 000,0 ათასი ლარით.

- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება რჩება უცვლელი და განისაზღვრება 3 608,8 ათასი ლარის ოდენობით. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება პროგრამა ცხოველთა მონიტორინგი - 3 158,3 ათასი ლარით და პროგრამა თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა - 450,5 ათასი ლარით.

- ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები განსაზღვრულია 95 950,5 ათასი ლარის ოდენობით.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი განსაზღვრულია 2 500,0 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია წინა წლებში აღებული სესხების დაფარვა, მათ შორის, მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხის დაფარვა 4 000,0 ათასი ლარი და ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხის მომსახურება (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)) 12 872,3 ათასი ლარი, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი განსაზღვრულია 2 000,0 ათასი ლარის ოდენობით.

როგორც ბატონმა მიქავამ აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის ინფორმაციული ხასიათის დანართი 1, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ, წარმოდგენილია სრულიად ახალ ფორმატში, სადაც მოცემულია პროგრამის საბაზისო და

მიზნობრივი მაჩვენებლები, ხოლო იქ, სადაც შესაძლებელი იყო ერთ-ერთ შეფასების ინდიკატორად დამატებულია **გენდერული ინდიკატორი.**

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა** განაცხადა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცედურა მიმდინარეობს კანონისა და რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით. ასევე, ბატონი ლევანის თქმით, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით დაგეგმილ პროგრამებში არ იკვეთება გენდერული დისკრიმინაციის ნიშნები, რაც სრულად პასუხობს **„გენდერული თანასწორობის შესახებ"** საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის **მოთხოვნებს,** რომლის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, მუნიციპალური პროგრამები და გეგმები იმგვარად უნდა შემუშავდეს, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარმოდგენილ მასალებს, თან არ ახლდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ შეიმუშავა შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება კომისიის მიერ შემუშავებულ დასკვნას.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა.**

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ შემუშავებული დადგენილების პროექტის სახით განხილულ უნდა იქნეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **ლევან მიქავამ** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად ხორციელდება, საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული და სხვადასხვა ღონისძიებებისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერის 170 000,0 ათასი ლარის გამოყოფის საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება და შეადგენს 1 086 863,6 ათას ლარს.

ბატონი ლევანის თქმით, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერებისა და შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიებისა და დამატებით წარმოდგენილი მოთხოვნების შესახებ წინადადებები. შესაბამისად ბიუჯეტში მოძიებულმა რესურსმა სულ შეადგინა 37 271,5 ათასი ლარი.

საკითხის წარმომდგენმა განაცხადა, რომ ბიუჯეტის შემოსავლების ზრდისა და მოძიებული რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- ✓ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) 33 784,2 ათასი ლარით, მეტროს ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, ავტობაზების აღდგენა-რეაბილიტაციისა და სხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებებისათვის;

- ✓ საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) 95 346,0 ათასი ლარით, მათ შორის 79 564,3 ათასი ლარი 220 ერთეული 8 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსების შეძენისათვის და 15 781,7 ათასი ლარი მეტროს ვაგონების მოდერნიზაციისათვის;

- ✓ მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (კოდი 01 02 03) 5 062,5 ათასი ლარით;

- ✓ საბაგირო ტრანსპორტის განვითარება (კოდი 01 02 08) 2 336,5 ათასი ლარით, მთაწმინდის პარკთან დამაკავშირებელი საბაგირო გზის მშენებლობასთან დაკავშირებით;

- ✓ 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები (კოდი 02 11) 2 302,4 ათასი ლარით, მათ შორის ვაკის რაიონის გამგეობას ემატება 216,0 ათასი ლარი 6 პირზე გასაცემი ერთჯერადი ფულადი დახმარების ანაზღაურების მიზნით და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს

მოთხოვნით 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიით დაზარალებული 6 ოჯახის დაკმაყოფილებისათვის 2 086,4 ათასი ლარი;

- ✓ გამწვანების ღონისძიებების ფარგლებში (კოდი 03 01) შპს ეკოსერვისის მიერ განსახორციელებელი სამუშაოების დასაფინანსებლად ემატება 9 092,0 ათასი ლარი, ხოლო გამწვანების ღონისძიებებში მიღებული ეკონომიები მცირდება 2 671,6 ათასი ლარით;

- ✓ იზრდება დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) 42 725,5 ათასი ლარით, მათ შორის სხვადასხვა ტევადობის ნაგავშემკრები ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესაძენად, ნაგავსაყრელი პოლიგონის პირველი და მეორე უჯრედის შეფუთვა კონსერვაციის, გაზის შეკრებისა და ნარჩენების უტილიზაციის ღონისძიებებისათვის, ასევე დაგვა-დასუთავების ღონისძიებების შეუფერხებელი მომსახურების, სხვადასხვა კაპიტალური ხარჯებისა და შპს თბილსერვისის თანამშრომელთა პრემიებისთვის;

- ✓ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) იზრდება 15 700,0 ათასი ლარი, საბავშვო ბაგა ბაღების დეკემბრის ხარჯების ანაზღაურების, კაპიტალური ხარჯებისა და ბაგა ბაღების თანამშრომელთა პრემიებისათვის;

- ✓ ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას (კოდი 07 02 07) ემატება 135,0 ათასი ლარი შშმ პირებისათვის ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების შესაძენად და სხვა.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ პროექტის თანახმად, მცირდება:

- ✓ გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) 8 817,3 ათასი ლარით;
- ✓ გზების მოვლა-შეკეთება რაიონებში 1 775,6 ათასი ლარით;
- ✓ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირება (კოდი 01 02 04) 700,0 ათასი ლარით;
- ✓ საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) 8 182,8 ათასი ლარით;
- ✓ ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) 2 200,0 ათასი ლარით;
- ✓ საპროექტო–საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) 147,0 ათასი ლარით;
- ✓ ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (კოდი 02 07) 193,3 ათასი ლარით;
- ✓ კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) 600,0 ათასი ლარით;

- ✓ ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების ხელშეწყობისა და მოძრავი ქონების აღრიცხვა-რეგულირება (კოდი 02 09 08) 93,0 ათასი ლარით;
- ✓ კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში 1 366,0 ათასი ლარით;
- ✓ ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) 308,6 ათასი ლარით;
- ✓ ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) 65,0 ათასი ლარით;
- ✓ ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) 34,0 ათასი ლარით;
- ✓ თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03) 145,8 ათასი ლარით;
- ✓ თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) 161,7 ათასი ლარი;
- ✓ შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა (კოდი 04 07 02) 20,0 ათასი 3 ლარით;
- ✓ სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება (კოდი 04 07 03) 10,0 ათასი ლარით;
- ✓ საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 04 08) 95,4 ათასი ლარით;
- ✓ თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) 237,0 ათასი ლარით;
- ✓ ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 04 09) 2,1 ათასი ლარით;
- ✓ ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარება (კოდი 04 10) 22,6 ათასი ლარით;
- ✓ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა (კოდი 04 12) 1 330,8 ათასი ლარით;
- ✓ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება ჯამში მცირდება 2 178,2 ათასი ლარით;
- ✓ სასწრაფო სამედიცინო დახმარება (კოდი 06 01 01) 260,0 ათასი ლარით;
- ✓ საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) 1 120,7 ათასი ლარით;
- ✓ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება (კოდი 07 02 04) 66,8 ათასი ლარით;
- ✓ მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (კოდი 07 06 02) 439,9 ათასი ლარით;
- ✓ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა მცირდება ჯამში 966,6 ათასი ლარით;

- ✓ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა (კოდი 09 01) მცირდება 142,1 ათასი ლარით;
- ✓ ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები მცირდება 2 251,5 ათასი ლარით;

ბატონი მიქავას თქმით, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 052 185,7 ათასი ლარის ოდენობით, ნაშთის ცვლილება 34 677,9 ათასი ლარით, ხოლო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 000 685.7 ათასი ლარით.

დასასრულს, მომხსენებელმა განაცხადა, რომ 2018 წლისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 276 797,0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარე - ლევან ჟორჟოლიანი და კომისიის წევრი - ნინო ლაცაბიძე დაინტერესდნენ ბაღებისა და თბილსერვისის თანამშრომლებისათვის გამოყოფილი საპრემიო ფონდის შესახებ.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ბაღების თანამშრომლებისთვის განსაზღვრულია 4 250 ,0 ათასი ლარით, ხოლო თბილსერვისის თანამშრომლებისთვის განსაზღვრულია 3 628 ,0 ათასი ლარით.

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების ნაწილში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **61**-ე მუხლის მე-**2** პუნქტი. ასევე, სასურველია მიეთითოს „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-**20** მუხლის კონკრეტული პუნქტი. აღნიშნულის გათვალისწინებით დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე		ლევან ჟორჟოლიანი
სხდომის მდივანი		ნინო ჯალაღანია